„გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ“ კონვენცია

ინსტიტუციური მოწყობის და მონიტორინგისა და ანგარიშგების შესაძლებლობათა შეფასება

თბილისი, 2016

ანგარიში მომზადებულია მწვანე ალტერნატივას პროექტის „გაერო-ს სამი კონვენციის შესრულების ხელშეწყობა: ინსტიტუციური მოწყობისა და მონიტორინგისა და ანგარიშგების შესაძლებლობათა შეფასება“ ფარგლებში. პროექტი განხორციელდა გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით და გაერო-ს განვითარების პროგრამის „გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და ანგარიშგების სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში“ პროექტის ფარგლებში.

ამ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს ავტორის პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს გაერო-ს განვითარების პროგრამის შეხედულებათა ამსახველად.

ავტორი: ირინა სვანიძე, მწვანე ალტერნატივა

© მწვანე ალტერანტივა, 2016.

სარჩევი

შესავალი **4**

1. კონვენციის შესრულებაში ჩართული მხარეები **5**

1.1 სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები 5

1.1.1 საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობა 5

1.1.2 გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო 6

1.1.3 საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო 9

1.1.4 სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) 10

1.2 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (მუნიციპალიტეტები) 11

1.3 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და არასამთავრობო ორგანიზაციები 11

1.3.1 სასწავლო და კვლევითი დაწესებულებები 11

1.3.2 არასამთავრობო ორგანიზაციები 12

1.4 კონვენციის მოთხოვნათა შესრულებაში მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთობა 13

2. კონვენციის შესრულების ეროვნული პროგრამები და მოხსენებები **13**

2.1 გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამები 14

2.2 ეროვნული მოხსენებები 16

3. კონვენციის შესრულების მონიტორინგი და ანგარიშგება: ძირითადი ნაკლოვანებები **16**

3.1 კანონმდებლობა 16

3.2 ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა 17

3.3 ადამიანური და ფინანსური რესურსები 18

3.4 მონაცემები 19

3.5 ტექნოლოგიები 19

დასკვნა **20**

დანართი 1. სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ განხორციელებული პროექტების არასრული ჩამონათვალი 21

დანართი 2. არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული (მიმდინარე და დასრულებული) პროექტების არასრული ჩამონათვალი 23

შესავალი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გაუდაბნოება გამოაცხადა როგორც გლობალური პრობლემა, რომელიც სიღარიბესთან და გარემოს ცვლილებასთან პირდაპირ კავშირშია. გაუდაბნოებასთან ბრძოლის საკითხს ყურადღება მიექცა ჯერ კიდევ გაერო-ს კონფერენციაზე გარემოს დაცვისა და განვითარების შესახებ (რიო დე ჟანეირო, 1992 წ.); 1994 წლის 17 ივნისს კი, პარიზში, მიღებულ იქნა გაერო-ს „კონვენცია გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ“.

კონვენციის მიზანია გაუდაბნოებასთან ბრძოლა და გვალვის შედეგების შემცირება ეფექტური ზომების გამოყენებით. კონვენციის მიზნის მისაღწევად, კონვენციის მხარე სახელმწიფოებმა უნდა უნდა შეიმუშაონ გვალვის შედეგების შემცირებისა და გაუდაბნოებასთან ბრძოლის პროგრამები. ამასთან, უნდა უზრუნველყონ მოსახლეობისა და ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობა აღნიშნულ პროცესში. „გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ“ კონვენციამ საფუძველი ჩაუყარა გლობალური მასშტაბით გაუდაბნოებისა და მიწების დეგრადაციასთან ბრძოლის ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბებას.

საქართველო მცირემიწიანი აგრარული ქვეყანაა, სადაც მრავალი წელია ქვეყნის გარკვეულ რეგიონებში მწვავედ განიცდიან გაუდაბნოებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მიწის დეგრადაციის გამომოწვევ ძირითად ფაქტორებს გადაჭარბებული ძოვება, ტყის ფართობების შემცირება, არამდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა წარმოადგენს.

საქართველოში გაუდაბნოების პროცესები გეოგრაფიული არეალით შეზღუდულია, ის ძირითადად რამოდენიმე რეგიონს მოიცავს. მისი გააქტიურება განსაკუთრებით შიდა და ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში და კახეთის ზოგიერთ რაიონში (დედოფლისწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს რაიონები) იგრძნობა[1].

საქართველომ 1994 წლის 15 ოქტომბერს ხელი მოაწერა გაეროს კონვენციას „გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ“. 1999 წლის 23 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა კონვენციის რატიფიცირება[2], 1999 წლის 21 ოქტომბერიდან კი, საქართველო გახდა გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის მხარე.

მხარეთა კონფერენციამ 2001 წელს შეიმუშავა გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის მეხუთე დანართი, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის („ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისათვის კონვენციის განხორციელების მიზნით“). ამავე წელს, საქართველოს შევიდა მეხუთე დანართით გათვალისწინებული რეგიონის შემადგენლობაში.

გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის მიხედვით, მხარეები, კონვენციის ეფექტური შესრულებისათვის, ვალდებულნი არიან:

- შეიმუშაონ კონვენციის განხორციელების გრძელვადიანი სტრატეგიები - გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამები;

[1] გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა, 2014-2022.

[2] საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 23 ივნისის №2141–IIს დადგენილება “„გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ“ გაეროს კონვენციის რატიფიცირების თაობაზე”.

- პრიორიტეტული ყურადღება დაუთმონ გაუდაბნოებასთან ბრძოლისა და გვალვის შემცირების საკითხებს;
- ხელი შეუწყონ ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნის ამაღლებასა და მათ ჩართულობას გაუდაბნოებასთან ბრძოლისა და გვალვის შედეგების შემცირების მცდელობაში;
- ხელი შეუწყონ კონვენციის აღსულებას არსებული კანონების გაძლიერების ან ახალი კანონების შემოღების გზით;
- სამდივნოს წარუდგინონ ეროვნული მოხსენებები.

კვლევისას განხილულ იქნა:

- გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციისადმი მომზადებული საქართველოს ანგარიშები (5 ეროვნული მოხსენება), გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა პირველი ეროვნული პროგრამა და გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა 2014-2022;
- გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციისადმი ანგარიშგებასთან დაკავშირებული მასალები;
- გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის შესრულებასთან დაკავშირებული უწყებების/ სტრუქტული ერთეულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის ბრძანებულებები და დებულებები (დანართი 3: გამოყენებული ლიტერატურა).

ჩატარდა ინტერვიუები სხვადასხვა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელთან (ნინო ჩიქოვანი - მიწის რესურსების დაცვისა და წიაღის სამსახური; ქეთი წერეთელი - RECC; ნანა ბოლაშვილი - გეოგრაფიის ინსტიტუტი; ეკა სანაძე - ნიადაგის რესურსების დაცვის სამსახური; ელენე ბაქრაძე - გარემოს ეროვნული სააგენტო; გიზო ურუშაძე - ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტი; მაია მელაძე - ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი; კახა არცივაძე - ნაკრესი).

1. კონვენციის შესრულებაში ჩართული მხარეები

საქართველოში, „გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ“ კონვენციის შესრულების პროცესში, ჩართულია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, თვითმმართველობის ორგანოები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სამეცნიერო დაწესებულებები და სხვა მხარეები. ქვემოთ განხილულია მათი როლი კონვენციის შესრულების საქმეში და ფუნქციები.

1.1 სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები

1.1.1 საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობა

საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურია. მისი ძირითადი კომპეტენციები განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით და არაერთი ნორმატიული აქტით; სხვადასხვა სფეროში პრეზიდენტის კომპეტენციები გაბნეულია სექტორულ კანონმდებლობაში. რაც შეეხება უშუალოდ გაუდაბნოებასთან ბრძოლას, საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული აქტით - საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 2 აპრილის #112 ბრძანებულებით - იქნა დამტკიცებული გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა პირველი ეროვნული პროგრამა. ამ პერიოდში პრეზიდენტი იყო აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური.

საქართველოს პრეზიდენტის კომპეტენციები 2013 წლის მეორე ნახევარში, საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, მნიშვნელოვნად შეიკვეცა. გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა (2014-2022 წ.წ.), 2014 წელს, დაამტკიცა არა პრეზიდენტმა, არამედ საქართველოს მთავრობამ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 დეკემბერი #742 დადგენილებით). კანონმდებლობით, საქართველოს მთავრობა აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა, რომელიც კოორდინაციასა და კონტროლს უწევს სამინისტროების საქმიანობას.

1.1.2 გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

კონვენციის შემსრულებელი მთავარი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროა. სამინისტრო ასრულებს კონვენციის საკონტაქტო პირის (focal point) ფუნქციას. უწყებას აქვს კონკრეტული ფუნქციები და ვალდებულებები მიწის რესურსების მართვის და დეგრადაციის პრევენციის სფეროში, გაუდაბნოებათან დაკავშირებული საკითხების საზოგადოებისათვის გაცნობის, ცნობიერების ამაღლებისა და განათლების მიმართულებით. სამინისტროს დებულების თანახმად ევალება[3]:

- საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების კოორდინირება და მონიტორინგი;
- კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო პროცესების სამდივნოებთან სახელმწიფოს სახელით ურთიერთობა;
- კომპეტენციის ფარგლებში მიწის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის უზრუნველყოფა, ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ზომების მიღება, ნაყოფიერების აღდგენისა და შენარჩუნების ღონისძიებების განხორციელება.

ამასთან, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის დაცვის სამინისტროსთან ერთად ახორციელებს: მიწების რეკულტივაციის, მათი ნაყოფიერების აღდგენის, ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, ხარისხის დაცვის, ასევე პოტენციურად ნაყოფიერი ფენების და ქანების დროულ და ხანგრძლივ გამოყენებაზე სამუშაოების შესრულებაზე ზედამხედველობას[4].

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში, გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის საკითხებთან დაკავშირებული სტრუქტურული ქვედანაყოფი **მიწის რესურსების დაცვისა და წიაღის სამსახურია**[5]. სამსახურის ძირითადი ფუნქცია და ამოცანებია:

- გაუდაბნოების, მიწის დეგრადაციის პროცესის შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელების კოორდინაცია;

[3] საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის #98 დადგენილება "საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ".

[4] საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის #424 დადგენილება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე".

[5] საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის #15 ბრძანება "საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიწის რესურსების დაცვისა და წიაღის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ".

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის „გარემოს ეროვნული სააგენტოსაგან“ ნიადაგების ქიმიურ მელიორაციაზე, რეკულტივაციაზე, ეროზიისაგან დაცვის კომპლექსურ ღონისძიებებზე, ნიადაგებში საკვებ ელემენტთა შემცველობაზე, ნიადაგების დაბინძურებაზე, ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, ნიადაგებზე გვალვის, ეროზიისა და სხვა ექსტრემალური მოვლენების გავლენებზე დაკვირვების შედეგების მიღება, მისი გაანალიზება და შესაბამისი წინადადების მომზადება;
- საშიში ნივთიერებებითა და ნარჩენებით დაბინძურებული მიწის მონაცემთა ბაზის შექმნა;
- კომპეტენციის ფარგლებში ნიადაგების ნაყოფიერების მდგომარეობაზე დაკვირვებისა და სათანადო გამოკვლევების საფუძველზე ყოველწლიური და პერსპექტიული სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა;
- დამუშავებული, ამოწურული და მიტოვებული წიაღის კარიერების შესახებ საინფორმაციო ბაზის შექმნა;
- მიწის რესურსების მართვის სფეროში მიმდინარე საერთაშორისო პროექტების ინიციირება.

ამ კვლევის მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სწორედ ეს სამსახური უზრუნველყოფს სხვადასხვა უწყებებიდან ნიადაგების ქიმიურ მელიორაციაზე, რეკულტივაციაზე, ეროზიისაგან დაცვის კომპლექსურ ღონისძიებებზე, ნიადაგების დაბინძურებაზე, ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, ნიადაგებზე გვალვის, ეროზიისა და სხვა ექსტრემალური მოვლენების გავლენებზე დაკვირვების შედეგებთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებას. ეროვნული პროგრამებისა და ანგარიშების მომზადებასა და მისი კონვენციის სამდივნოსათვის წარდგენას.

სამსახურს მაკონტროლებელი უფლებამოსილებები არ გააჩნია. მაკონტროლებელი ფუნქცია სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას, **გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს** აქვს.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამანტის ერთ-ერთი ძირითად ფუნქციას წარმოადგენს: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის დაგეგმვა და კოორდინაცია; ასევე, საქართველოს მიერ გარემოს დაცვის სფეროში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კონტროლის განხორციელება[6].

აქვე უნდა აღინიშნოს, საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებების გაფორმების ინიცირებისა და პროცედურულ ღონისძიებათა ორგანიზებაში მონაწილეობის ფუნქცია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს **გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის** უფლებამოსილებას წარმოადგენს. დეპარტამენტი ასევე უფლებამოსილია[7]:

---

[6] საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №26 ბრძანება “საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ”.

[7] საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 26 თებერვლის #183 ბრძანება “გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ”.

- მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრაში და უზრუნველყოს საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების კოორდინირება და მონიტორინგი;
- კოორდინაცია გაუწიოს საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებების ეროვნული პასუხისმგებელი/ საკონტაქტო პირების საქმიანობას.

რაც შეეხება საზოგადოებისათვის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას, ამ კუთხით, მნიშვნელოვან უწყებებს წარმოადგენს: **სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი**; ასევე **საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.**

თავის საქმიანობაში, გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრი ეყრდნობა ,,გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის პრინციპებს. ცენტრის ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია[8]:

- გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზუნველყოფა ვებგვერდისა და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების (ინტერნეტ-საინფორმაციო ქსელი, მედია საშუალებები და სხვა) გზით;
- გარემოსდაცვითი პროექტების შესახებ ინფორმაციის მოძიება, მონაცემთა ბაზის შექმნა და საჯაროობის უზრუნველყოფა

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ძირითადი ფუნქცია და ამოცანებია[9]:

- საზოგადოებასთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობა;
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში საზოგადოებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გამჭვირვალობის და ამ სფეროში საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა;
- საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა, გარემოსდაცვითი ღონისძიებებისა და კამპანიების დაგეგმვა და ორგანიზება;
- საზოგადოების ინფორმირება სამინისტროს საქმიანობისა და გარემოსდაცვით სფეროში მისაღები გადაწყვეტილებების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში დაინტერესებულ პირებთან შესაბამისი შეხვედრების ორგანიზება;
- სამინისტროს ვებგვერდისა და სოციალური ქსელების ადმინისტრირება.

---

[8] საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 5 თებერვალის #175 ბრძანება “გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ”.

[9] საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის #19 ბრძანება “საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”.

გარემოს ეროვნული სააგენტო

კონვენციის შესრულებაში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, გარემოს ეროვნული სააგენტოც. სააგენტოს დებულებით განსაზღვრული აქვს რიგი ფუნქციები შესასრულებლად, კერძოდ[10]:

- საქართველოს ტერიტორიაზე გარემოში (ატმოსფერული ჰაერი, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები, ზღვა, ნიადაგი) მიმდინარე მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური, გეოდინამიკური პროცესების, გეოლოგიური და გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის მონიტორინგის ურთიერთთავსებადი სისტემების შექმნა და მათი გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

- გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციული ფონდების შევსება და ა.შ;

გარემოს ეროვნული სააგენტოში, წინასწარ ადგენენ წლიურ გეგმას და ამ გეგმის მიხედვით აწარმოებენ მონიტორინგს: ზედაპირული წყლების, ატმოსფერულ ჰაერისა და მათ შორის, ნიადაგის დაბინძურების მხრივ. აღნიშნული ფუნქცია დაკისრებული აქვს, სააგენტოში შემავალ გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტს, რომელსაც ქუთაისში და ბათუმში აქვს ფილიალები, ასევე აქვთ ჰაერის მონიტორინგის ჯიხურები. როგორც დეპარტამენტის წარმომადგენელმა აღნიშნა, კვლევები, ძირითადად, ტარდება ქალაქების ცენტრებში, ავტოსადგურებზე და შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს არ მოიცავს.

მიწის რესურსების დაცვისა და წიაღის სამსახური უშუალო კომუნიკაციას, გაუდაბნოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ახორციელებს გარემოს ეროვნული სააგენტოს სტრუქტურულ ქვედანაყოფთან, **გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტთან.** დეპარტამენტის ძირითად ფუნქციას (მიწასთან დაკავშირებით) ნიადაგის ქიმიური, ბიოლოგიურ და მიკრობიოლოგიურ დაბინძურებაზე რეგულარული დაკვირვების წარმოება წარმოადგენს.

1.1.3 საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მსგავსად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს განსაზღვრული აქვს კონკრეტული ფუნქციები და პასუხისმგებლობები მიწის რესურსების მართვის და დეგრადაციის პრევენციის თვალსაზრისით. სამინისტროს ძირითად ამოცანას მიწასთან დაკავშირებით, ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების სფეროში სახელმწიფო ზედამხედველობა წარმოადგენს.

კერძოდ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“ კანონის მიხედვით[11], უფლება აქვს შეამოწმოს:

- ნიადაგების ნაყოფიერების მდგომარეობა;

[10] საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის #27 ბრძანება “გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ”.

[11] საქართველოს კანონი “ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ”, 2003 წლის 8 მაისი # 2260 – IIს.

- ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებათა გატარების მდგომარეობა და ეფექტიანობა;
- ნიადაგების რადიონუკლიდებით, მძიმე მეტალებითა და ტოქსიკური ელემენტებით, ენტომოლოგიური, ჰელმინთოლოგიური, ბაქტერიული და ვირუსული დაბინძურება და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით გაატაროს საწინააღმდეგო ღონისძიებები.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის საკითხებთან დაკავშირებით **ნიადაგის რესურსების მართვის სამმართველო** მუშაობს. ნიადაგის რესურსების მართვის სამმართველოს კომპეტენციაში შედის[12]:

- კომპეტენციის ფარგლებში, ნიადაგის ხარისხობრივი მახასიათებლების (ნიადაგის ატლასი) ერთიანი გეო მონაცემთა ბანკის შექმნაში მონაწილეობის მიღება;
- ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების, ნაყოფიერების აღდგენისა და შენარჩუნების მიზნობრივი პროგრამების მომზადების ორგანიზება;

სამმართველო დღეისათვის ახორციელებს პროექტს, რომელიც გულისხმობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ ერისიმედში 1600 ჰექტარზე დამლაშებული/დეგრადირებული ნიადაგების რეაბილიტაციას (პროექტის დასახელება: „სოფელ ერისიმედის მიდამოებში, 1600 ჰექტარზე დამლაშებული ანუ დეგრადირებული ნიადაგების რეაბილიტაცია“).

1.1.4 სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომლის ძირითად ფუქციას ოფიციალური სტატისტიკის წარმოება და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელება წარმოადგენს. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ძირითადი მიზანს სტატისტიკის საერთაშორისოდ აღიარებული ძირითადი პრინციპების საფუძველზე ქვეყნის სოციალური, დემოგრაფიული, ეკონომიკური და ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის ამსახველი ოფიციალური სტატისტიკის წარმოება წარმოადგენს[13].

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სხვა ინფორმაციასთან ერთად, აგროვებს და აქვეყნებს გარემოსა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ მონაცემებს. აღნიშნულ საქმიანობას ასრულებს, საქსტატის სტრუქტურული ქვედანაყოფი სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველო. სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:

- საყოველთაო სასოფლო-სამეურნეო აღწერების, აგრეთვე სოფლის მეურნეობისა და გარემოს სფეროში სხვადასხვა სტატისტიკური დაკვირვებების დაგეგმვა, ორგანიზება და განხორციელება;

[12] საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 27 მარტის #2-51 ბრძანება “საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენეტის დებულების დამტკიცების შესახებ”.

[13] საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის №406 დადგენილება “საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”.

- სოფლის მეურნეობისა და გარემოს სფეროში ოფიციალური სტატისტიკის წარმოება;

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2004-2005 წლებში ჩატარდა პირველი ეროვნული სასოფლო-სამეურნეო აღწერა საქართველოში. კვლევაზე დაყრდნობით გამოიცა პუბლიკაცია, რომელიც მოიცავს მრავალფეროვან ინფორმაციას საქართველოს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა ასპექტის შესახებ რაიონულ ჭრილში. კერძოდ, სახელმძღვანელოში მოცემულია მეურნეობათა სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების რაოდენობა და მისი სტრუქტურა მიწათსარგებლობის ფორმების მიხედვით[14].

1.2 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (მუნიციპალიტეტები)

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქცია გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის შესრულებასთან დაკავშირებით არ არის სათანადოდ გაწერილი კანონმდებლობაში. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის (მუხლი 16) მიხედვით, მუნიციპალიტეტების ერთ-ერთ უფლებამოსილებას ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლისა და ტყის რესურსების და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწების რესურსების მართვა წარმოადგენს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წელს დამტკიცებულ იქნა საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წ.წ. სახელმწიფო სტრატეგია[15]. სტრატეგიის ერთ-ერთ ქვეთავში („სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის უზრუნველყოფა“) გაწერილია თვითთმმართველი ერთეულების პასუხისმგებლობაც მიწასთან დაკავშირებით. კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები მათ მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ზუსტი აღრიცხვის და მიწის ბალანსის შესადგენად, სათანადო ფინანსური მხარდაჭერით უნდა იქნენ უზრუნველყოფილნი.

1.3 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და არასამთავრობო ორგანიზაციები

საქართველოში რამოდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი თავიანთი საქმიანობის ფარგლებში, მოიცავს გაუდაბნოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ეროვნული მოხსენებები მომზადების პერიოდში მიმართავს აღნიშნულ დაწესებულებებს და იღებს მათგან ქვეყნის მასშტაბით მიწასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

1.3.1 სასწავლო და კვლევითი დაწესებულებები

სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებიდან, კონვენციის მოთხოვნათა შესრულების ხელშეწყობის ღონისძიებებს ატარებენ: თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი, ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი და მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ინსტიტუტი.

---

[14] სასოფლო-სამეურნეო აღწერა http://www.geostat.ge/?action=page&p_id=55&lang=geo;

[15] საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის # 172 დადგენილება "საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ"

90-იან წლებამდე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ, საქართველოს არაერთ რეგიონში რეგულარულად ხდებოდა დაკვირვებები და კვლევები ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოლოგიის ნიადაგის ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ. კვლევების საფუძველზე მომზადდა ნიადაგის ეროზიისაგან დაცვისა და მისი ნაყოფიერების გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციები.

დღეისათვის, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები სათანადოდ არ არის აღჭურვილი ტექნოლოგიებით, რაც კვლევების ჩატარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის მათთვის. ამასთან, სამეცნიერო ინსტიტუტების მიერ განხორციელებული კვლევები, თუ პროექტები საქართველოს მთელ ტერიტორიას არ მოიცავენ (აღნიშნული ძირითადად გარკვეული რეგიონებით შემოიფარგლება). პირველ დანართში მოცემულია ბოლო წლებში სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების მიერ განხორციელებული პროექტები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014-2022 წლების ეროვნული სტრატეგიაში წარმოადგენილია რიგი ფუნქციები, რომელთა შესაძლო შემსრულებლადაც სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები მოიაზრება. ასე, მაგალითად: ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების; გაუდაბნოებასთან ბრძოლის განახლებული მოქმედებათა ეროვნული პროგრამის განხორციელების მონიტორინგის; ნიადაგის გაუდაბნოების გამომწვევი ბუნებრივი და ანთროპოგენური სტიქიური პროცესების (წყლისა და ქარის ეროზია, ღვარცოფი, მეწყერი, ირიგაციული ეროზია, ტყის გაჩეხვა, სამთო-კარიერული სამუშაობი და სხვ.) მონიტორინგის კუთხით და ა.შ.

1.3.2 არასამთავრობო ორგანიზაციები

ზოგადად არასამთავრობო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ცნობიერების ამაღლებისა მხრივ. საქართველოში ამჟამად მოქმედი რამოდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს გაუდაბნოებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა თუ ამ სფეროში ცნობიერების ამაღლების კუთხით. მათ შორის არიან: RECC, კავკასიის გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი (CENN), სახეობათა კონსერვაციის ცენტრი "ნაკრესი", მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები, მწვანე ალტერნატივა, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაცია.

დღეისთვის რამოდენიმე მათგანი ახორციელებს პროექტს ეროზიების ინტეგრირებული მართვის, საძოვრების მდგომარეობის შეფასებისა და მენეჯმენტის გეგმის მომზადების, სასოფლო ტერიტორიებზე ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვის მიმართულებით და ა.შ. ამასთან, უნდა ითქვას, რომ პროექტები საქართველოს მხოლოდ რამოდენიმე რეგიონს მოიცავს. მეორე დანართში მოცემულია ბოლო წლებში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული (მიმდინარე და დასრულებული) პროექტები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014-2022 წლის ეროვნული სტრატეგიაში წარმოადგენილია რიგი ფუნქციები, რომელთა შესაძლო შემსრულებლად არასამთავრობო ორგანიზაციები მოიაზრება. ასე მაგალითად: ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობისა და ცნოებიერების ამაღლების; გაუდაბნოების საფრთხის ქვეშ მყოფი ტერიტორიების განსაზღვრის; ნიადაგის გაუდაბნოების გამომწვევი ბუნებრივი და ანთროპოგენური სტიქიური პროცესების (წყლისა და ქარის ეროზია, ღვარცოფი, მეწყერი, ირიგაციული ეროზია, ტყის გაჩეხვა, სამთო-კარიერული სამუშაობი და სხვ.) მონიტორინგის და ა.შ კუთხით.

1.4 კონვენციის მოთხოვნათა შესრულებაში მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთობა

როგორც აღვნიშნეთ, კონვენციის მოთხოვნათა შესრულებაში ჩართულია არაერთი დაწესებულება (სამთავრობო დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები). ამ დაწესებულებების დამაკავშირებელ უწყებას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო წარმოადგენს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში კრებს მონაცემებს სხვადასხვა დაწესებულებებიდან და გამოიყენებს მას ეროვნული მოხსენებების შემუშავებისა და მომავალი პროექტების დაგეგმარების პროცესში.

როგორც ინტერვიუში მიწის რესურსებისა და წიაღის დაცვის სამსახურის უფროსმა (ნინო ჩიქოვანმა) აღნიშნა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსათვის, უწყებების მიერ მონაცემების დამალვის ან არმიცემის შემთხვევა არ ყოფილა. ინფორმაციისა თუ სხვადასხვაგვარი მონაცემების ფლობის შემთხვევაში, ისინი დაუბრკოლებლივ გადასცემენ მას სამინისტროს - მოთხოვნის საფუძველზე. ძირითადად, სამინისტროსა და დაწესებულებებს შორის ინფორმაციის მიმოცვლა ხდება კონვენციის სამდივნოსთან ანგარიშგების პერიოდში (ეროვნული მოხსენებების მომზადების წინა ეტაპზე).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო უწყებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამთავრობო უწყებებს შორის არსებული სიტუაცია, მონაცემების მიმოცვლასთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებულია. სხვადასხვა დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები საჯარო არ არის, რაც ძირითად პრობლემას წარმოადგენს უწყებებს შორის ინფორმაციის მიმოცვლასთან დაკავშირებით. როგორც გეოგრაფიის ინსტიტუტის ერთ-ერთმა თანამშრომელმა აღნიშნა, ყოფილა შემთხვევები, როდესაც მონაცემები სხვა რომელიმე კვლევითი ინსტიტუტიდან თუ სამთავრობო უწყებიდან სჭირდებათ, იმ შემთხვევაში, როცა ეს ინფორმაცია საჯარო არ არის, მათ ან ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ უწევთ ამ მონაცემების მოპოვება, ან ხშირ შემთხვევაში, მონაცემები დამალულია მათთვის და უბრალოდ არ ხდება მისი გასაჯაროვება.

ფაქტიურად, უწყებებს შორის ინფორმაციის მიმოცვლა არ ხდება. აღნიშნული პრობლემა კი, გადაწყვეტილებების მიღების პროცესს ნაკლებად ეფექტურს ხდის.

2. კონვენციის შესრულების ეროვნული პროგრამები და მოხსენებები

გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის მიხედვით, მხარეები, კონვენციის ეფექტური შესრულებისათვის, ვალდებულნი არიან:

- შეიმუშაონ კონვენციის განხორციელების გრძელვადიანი სტრატეგიები - გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამები;
- სამდივნოს წარუდგინონ ეროვნული მოხსენებები.

2.1 გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამები

კონვენციის მხარე ქვეყნები ვალდებულნია არიან შეიმუშაონ კონვენციის განხორციელების გრძელვადიანი სტრატეგიები - გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამები. მოქმედებათა ეროვნული პროგრამების მიზანია:

- გაუდაბნოების გამომწვევი ფაქტორების განსაზღვრა;
- გაუდაბნოებასთან ბრძოლისა და გვალვის შედეგების შემცირებისათვის აუცილებელი პრაქტიკული საშუალებების განსაზღვრა.

საქართველომ, როგორც კონვენციის მხარე ქვეყანამ, ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიზნით, გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა პირველი ეროვნული პროგრამა 2003 წელს შეიმუშავა (დამტკიცდა 2003 წლის 2 აპრილის საქართველოს პრეზიდენტის #112 ბრძანებულებით).

პირველი ეროვნული პროგრამის მიღებამდე, 2001 წელს გაეროს გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის განხორციელებისათვის მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისია შეიქმნა[16]. კომისიის შემადგენლობაში სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენლები შედიოდნენ. კომისია წელიწადში ორჯერ იკრიბებოდა და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, სავალდებულო იყო შესასრულებლად, კომისიაში წარმოდგენილი სამინისტროებისა და უწყებებისათვის თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. კომისიის კოორდინაციის ფუნქცია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ჰქონდა დაკისრებული.

კომისიის შექმნის პერიოდშივე დაიწყო გაუდაბნოებასთან ბრძოლის პირველი ეროვნული პროგრამის შემუშავებაზე მუშაობა. კომისიის ძირითად მიზანს, სწორედ გაუდაბნოებასთან ბრძოლის ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება წარმოადგენდა. კომისიამ რეალურად მხოლოდ ორი წელი იმუშავა და 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კომისიამ შეწყვიტა საქმიანობა (ოფიციალურად 2005 წლის 25 აგვისტოს)[17].

გაუდაბნოებასთან ბრძოლის პირველი ეროვნული პროგრამის მომზადების პროცესი 2000 წელს დაიწყო და მისი შემუშავების პროცესს სწორედ ზემოთაღნიშნული კომისია უწევდა კურირებას.

გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა პირველი ეროვნული პროგრამის მიხედვით საქართველოში გაუდაბნოებისადმი მოწყვლად რეგიონებად - კახეთი და ქვემო ქართლი განისაზღვრა.

პირველი ეროვნული პროგრამის ძირითად მიზნებს წარმოადგენდა: გაუდაბნოების საფრთხის წინაშე მყოფი ტერიტორიების განსაზღვრა და მათი ფართობის დადგენა; გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის უზრუნველყოფა ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების, ადეკვატური დაგეგმვისა და კონსერვაციული მოქმედების განხორციელების გზით; გაუდაბნოებასთან ბრძოლის საქმეში კომპეტენტური სტრუქტურებისა და ინსტიტუტების მონაწილეობა; გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლისათვის საერთაშორისო თანამშრომლობისა და პარტნიორობის განვითარება.

---

[16] საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 15 ივლისის, # 282 ბრძანებულება “გაეროს გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის განხორციელებისათვის მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ”.

[17] საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 აგვისტოს #720 ბრძანებულება “საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ”.

გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის პირველი ეროვნული პროგრამა შეზღუდულ დაფინანსებას ითვალისწინებდა და მასში მხოლოდ მცირემასშტაბიანი საპილოტე პროექტები იყო გათვალისწინებული.

ეროვნულ მოქმედებათა გეგმის შემუშავებას საერთო კოორდინაციას საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო უწევდა.

გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა, შემუშავდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან უშუალო კოორდინაციით და 2014 წელს (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 დეკემბრის #742 დადგენილება) დამტკიცდა, რომლის შესასრულებლადაც 2014 - 2022 წლებია გაწერილი. მეორე ეროვნული პროგრამის მიხედვით განსაზღვრულია რიგი მიზნები და ღონისძიებები, რომლის შესრულებაც ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს. ეროვნული პროგრამის მიხედვით კოორდიანციის ფუნქცია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაეკისრა.

მეორე ეროვნული პროგრამის მიხედვით, საქართველოში გაუდაბნოებისადმი მოწყვლად რეგიონებს შიდა ქართლი დაემატა. შესაბამისად, საქართველოში გაუდაბნოებისადმი მოწყვლად რეგიონებად კახეთი, შიდა და ქვემო ქართლი განისაზღვრა.

მეორე ეროვნული პროგრამის შემუშავების პროცესში, გამართულ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო: სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამისნიტრომ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, შრომის ჯანმრთელობისა და სოციუალური დაცვის სამინისტრომ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ, სსიპ დაცული ტერიტორირების სააგენტომ, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს, სიღნაღის, გორის, ქარელის, გარდაბანის მუნიციპალიტეტების, გეოგრაფიის ინსტიტუტის, აგრარული უნივერსიტეტის, GIZ-ის, UNDP-ის და რამოდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის (CENN, ნაკრესი, ელკანა, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები) წარმომადგენელმა.

ეროვნული პროგრამა გვთავაზობს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ჩართულობის, მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების გაზრდის, გაუდაბნოების მონიტორინგის, სოფლის მეურნეობაში გასატარებელ და საერთაშორისო თანამშრომლობის ღონისძიებებს.

ამასთან, მეორე სამოქმედო გეგმაში გადანაწილებულია ფუნქციები სამინისტროს, სამეცნიერო დაწესებულებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. ყველას განსაზღვრულია აქვს თავიანთი ფუნქცია და შესაბამისად, ეს საკითხი დარეგულირებულია, გამომდინარე აქედან უწყებებს შორის ურთიერთგადაფარვაც არ ხდება (დოკუმენტში ცხრილის სახით არის მოცემული კონვენციის შესრულების პროცესში კონკრეტული შესასრულებელი ღონისძიებები და იქვეა მოცემული შემსრულებელი უწყებების ჩამონათვალი).

2.2 ეროვნული მოხსენებები

გაეროს გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის მიხედვით, კონვენციის მხარე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, ორ წელიწადში ერთხელ კონვენციის სამდივნოს წარუდგინონ სახელმწიფოს ეროვნული მოხსენება კონვენციის განხორციელებაზე.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიზნით, საქართველოს მიერ წარდგენილ იქნა ხუთი ეროვნული მოხსენება:

- პირველი ეროვნული მოხსენება - მომზადდა 2000 წ.
- მეორე ეროვნული მოხსენება - მომზადდა 2002 წ.
- მესამე ეროვნული მოხსენება - მომზადდა 2006 წ.
- მეოთხე ეროვნული მოხსენება - მომზადდა 2010 წ.
- მეხუთე ეროვნული მოხსენება - მომზადდა 2014 წ.

2006 წლიდან 2010 წლამდე გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის განხორციელების თაობაზე ეროვნული მოხსენება არ მომზადებულა. როგორც გარემოსა და ბუნებრივი რესურების დაცვის სამინისტროს, მიწის რესურსების დაცვისა და წიაღის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, ამ პერიოდში კონვენციის მხარეთა კონფერენციის მიერ მოთხოვნილი არ იყო ეროვნული მოხსენება წარსადგენად, შესაბამისად 2010 წლამდე არ მომზადებულა.

3. კონვენციის შესრულების მონიტორინგი და ანგარიშგება: ძირითადი ნაკლოვანებები

როგორც თავდაპირველად აღვნიშნეთ, კონვენციის შესრულებაში ჩართულია არაერთი უწყება. ისინი თავიანთი კომპეტენციისა და შესაძლებლობების ფარგლებში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კონვენციის მოთხვნათა შესრულებაში. მიუხედავად ამისა, ვხვდებით რიგ პრობლემებს, რომელთა გამოსწორების გარეშეც სახელმწოფო ვერ უზრუნველყოფს კონვენციის ეფექტურად განხორციელებას.

3.1 კანონმდებლობა

მიწის დეგრადაციის სფეროში არსებული კანონმდებლობა მოიცავს კანონს „ნიადაგის დაცვის შესახებ“, „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“, რამოდენიმე ტექნიკურ რეგლამენტსა და საერთაშორისო ხელშეკრულებებს. კანონმდებლობასთან დაკავშირებულ მთავარ პრობლემებს, კანონის აღსრულებაში ვხვდებით, რის თავდაპირველ მიზეზსაც კონტროლის არ ქონა წარმოადგენს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარემოსდაცვით კანონმდებლობაში საერთოდ არ მოგვეპოვება კანონი ან კანონქვემდებარე აქტი - გარემოსდაცვითი მონიტორინგის შესახებ, სადაც ნათლად იქნებოდა გაწერილი გარემოსდაცვითი მონიტორინგის განმახორციელებელი შესაბამისი უწყებები და მათი უფლებამოვალეობანი. გარემოსდაცვითი მონიტორინგის შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა გარემოსდაცვით კანონში და სახელმწიფო უწყებათა დებულებებში არის გაბნეული, ამასთან ის ძირითადად ზოგადი სახის დებულებებით შემოიფაგლება. გამომდინარე აქედან, საჭიროა შესაბამისი ცვლილებები და დამატებები შევიდეს მოქმედ კანონმდებლობაში (მაგალითად, საქართველოს

კანონებში „ნიადაგის დაცვის შესახებ“ და „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“).

3.2 ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამის ერთ-ერთ ძირითად მიზანს საზოგადოების ინფორმირებულობა, ცნობიერების ამაღლება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობა წარმოადგენს. ამ მხრივ სიტუაცია გაუმჯობესებას საჭიროებს.

გაუდაბნოებასთან ბრძოლის მეორე ეროვნული პროგრამის (2014-2022) მიხედვით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტორს ვებ-გვერდზე, ქართულ ენაზე სრულყოფილად უნდა იყოს განთავსებული ინფორმაცია კონვენციასთან დაკავშირებული დოკუმენტების შესახებ.

დღეისათვის სამინისტროს ვებ-გვერდზე (გაუდაბნოების საკითხებთან დაკავშირებით) განთავსებულია მხოლოდ ნიადაგის დაცვასთან დაკავშირებული ერთგვერდიანი ზოგადი სახის ინფორმაცია[18]. ძირითადად, მიწასთან და გაუდაბნოებასთან დაკავშირებული საკითხები განთავსებულია (სსიპ) გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე[19].

ამასთან, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე საერთოდ არ არის განთავსებული მეოთხე ეროვნული მოხსენება 2010-12 წწ. როგორც მიწის რესურსებისა და წიაღის დაცვის სამმართველოს უფროსმა აღნიშნა, მისი ატვირთვა ონლაინ მოხდა. შესაბამისად ეს დოკუმენტი წარმოადგენილია გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის ვენ-გვერდზე ინგლისურ ენაზე[20].

არ არის განთავსებული გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა პირველი ეროვნული პროგრამა.

მეხუთე ეროვნული მოხსენება, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-საიტზეა განთავსებული, ასევე ინგლისურ ენაზე. რაც საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის, დოკუმენტის გაცნობის კუთხით, დიდ ბარიერს წარმოადგენს.

არ არის მოცემული საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის დადგენილებები, რომლითაც დამტკიცდა პირველი და მეორე ეროვნული პროგრამები.

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის პრობლემა დღემდე არსებობს. გარემოს დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული დოკუმენტები, რომელიც ინფორმირებულობის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს მათთვის რეალურად ხელმისაწვდომი არ არის. იმ შემთხვევაშიც კი თუკი, დაინტერესებული პირები მოინდომებენ სამინისტროს ვებ-გვერდიდან ინფორმაციის მიღებას, სრულყოფილად ვერც ამას შეძლებენ.

---

[18] იხ. http://moe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=54

[19] იხ. http://www.eiec.gov.ge/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/Soil.aspx

[20] იხ. http://www.unccd-prais.com/Data/Reports

რაც შეეხება მედია საშუალებების ჩართულობას - გაუდაბნოებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება ნაკლებად ხდება მას-მედიის მიერ. ასევე იშვიათად ეძღვნება ესა თუ ის სტატია აღნიშნულ საკითხებს, შესაბამისად, ადგილობრივი თემების წარმომადგენლებს ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა ფაქტობრივად წართმეული აქვთ.

რაც შეეხება კონვენციის ვებ-გვერდზე (http://www.unccd.int) საქართველოს შესახებ განთავსებულ ინფორმაციას, აქ გაუდაბნოებასთან ბრძოლის შეესახებ კონვენციის პასუხისმგებელი პირი (NFP) არის გარემოსა და ბუნებრივი -რესურსების დაცვის სამინისტროს მიწის რესურსების დაცვისა და წიაღის სამსახური (სამსახურის უფროსი). სამეცნიერო და ტექნოლოგიურ საკითხებში ეროვნული პასუხისმგებელი პირი არის ნანა ბოლაშვილი. საქართველოს შესახებ კონვენციის ვებ გვერდზე გამოქვეყნებული ზოგიერთი ინფორმაცია საერთოდ არ არის განთავსებული (მაგალითად, გაუდაბნოებასთან ბრძოლის მეორე ეროვნული პროგრამა 2014-2022).

3.3 ადამიანური და ფინანსური რესურსები

ადამიანური და ფინანსური რესურსების უკმარისობა გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის შესრულებაში ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს.

როგორც თავდაპირველად აღვნიშნეთ, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის შესრულებასთან დაკავშირებული ფუნქციები მიწის რესურსების დაცვისა და წიაღის სამსახურზეა გადანაწილებული. თუმცა, რეალურად მიწის რესურსების დაცვისა და წიაღის სამსახური თავიდან ბოლომდე ჩართული არ არის პროცესში, ამის განმაპირობებელი ძირითადი მიზეზი კი ის არის, რომ რეალურად სამსახურიდან მიწის საკითხებზე მხოლოდ ორი ადამიანი მუშაობს. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, როცა ანგარიშგების პერიოდი (ეროვნული მოხსენების მომზადება ხდება საჭირო) მოდის, რეალურად გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან მხოლოდ ერთი ადამიანი ხდება ანგარიშვალდებული, ანგარიშის მომზადებისა და მისი წარდგენის თვალსაზრისით. ამდენად, სამინისტრო ქირაობს დამოუკიდებელ ექსპერტს რომელიც ასრულებს აღნიშნულ დავალებას.

სამეცნირო-კვლევითი ინსტიტუტებისათვის კვლევების ჩატარებისა თუ მონაცემების შეგროვების მხრივ, ერთ-ერთ ძირითად ხელისშემშლელ ბარიერს ფინანსური რესურსების უკმარისობა წარმოადგენს. როგორც, ინსტიტუტების წარმომადგენლები აღნიშნავენ, ისინი ძირითადად კვლევებს ბიუჯეტის ფარგლებში ახორციელებენ. მათი პროექტების დაფინანსების ერთადერთი წყარო კი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდია. აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოთაღნიშნულ ფონდში გრანტის მიღება ასევე რიგ ბარიერებს უკავშირდება. მთავარ მიზეზს, გრანტის მიმღებთა სურვილის მქონე დაწესებულებების საკმაოდ მრავალრიცხოვანი რაოდენობა წარმოადგენს, რომელთაგანაც რეალურად მხოლოდ რამოდენიმე პროექტის დაფინანსება ხდება შესაძლებელი. ეს კი დანარჩენ სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლებს უკარგავს კვლევების განხორციელების შესაძლებლობას.

3.4 მონაცემები

განახლებული მონაცემების არ ქონა, კონვენციის აღსრულებაში ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს. ამ ეტაპზე, საქართველოში ნიადაგის ხარისხობრივი შეფასების შესახებ კვლევას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო არ ატარებს.

დღეის მდგომარეობით არ გვაქვს ინფორმაცია საქართველოს მასშტაბით ნიადაგის ხარისხობრივი მდგომარეობისა და რაოდენობის შესახებ. ასევე არ არსებობს ნიადაგების ციფრული ბაზა, რომელიც გეოსაინფორმაციო ბაზაზე იქნებოდა მიბმული. ასეთი ბაზის არსებობის შემთხვევაში განახლებული ინფორმაციის დადება შესაძლებელი გახდებოდა. შესაბამისად მთლიანი სურათის დანახვა და რეალური პრობლემების გამოჩენის შესაძლებლობაც არ არის ამ ეტაპზე შესაძლებელი.

ახალი მონაცემები ასევე არ გააჩნიათ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმოამდგენლებსაც. როგორც სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლები აღნიშნავენ, იმ შემთხვევაში, როცა მათ მუნიციპალიტეტებიდან გარკვეული სახის ინფორმაცია სჭირდებათ, ისინიც 80 იანი წლების მონაცემებს იღებენ და იმას აწვდიან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით სისტემურად მუდმივ მონიტორინგს გაუდაბნოებას და დეგრადაციას საქართველოში არავინ არ უწევს. ძირითადად პროექტების ფარგლებში, მცირე ტერიტორიებზე ხდება მონიტორინგი, შესაბამისად იგეგმება და ტარდება კიდევაც გარკვეული სახის ღონისძიებები. გამომდინარე აქედან, დღეის მდგომარეობით მთლიანი სურათი არ ვიცით, მაგალითად, ქვეყანაში სად რა დონის დეგრადაცია გვაქვს, რითია გამოწვეული ეროზია, რამდენია დეგრადირებული მიწის ფართობები და ა. შ. - თითოეული საკითხი კი, დეტალურ შესწავლას საჭიროებს. მაგალითად, ეროზიაზე უამრავი ფაქტორი მოქმედებს და თითოეული მათგანი კომპლექსურ შესწავლას საჭიროებს.

აქვე უნდა ითქვას, რომ დღეისათვის საქართველოს მასშტაბით განთავსებულია რამოდენიმე მეტეოროლოგიური სადგური, თუმცა, ისინი სრულად საქართველოს ყველა რეგიონს არ მოიცავენ, შესაბამისად, მთლიანი სურათის მიღება, ამ შემთხვევაშიც, შეუძლებელი ხდება.

ერთ-ერთ მთავარ პრობლემას, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში ძველი მონაცემებისა თუ რუკების ნაწილის დაკარგვაც წარმოადგენს. მათი ნაწილი წლების განმავლობაში დაიკარგა და შესაბამისად, ინფორმაციის აღდგენა ახლაც შეუძლებელია.

3.5 ტექნოლოგიები

სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებს პროექტების ეფექტურად განხორციელებაში ტექნოლოგიების არ არსებობაც უშლით ხელს. კვლევების წარმოების პროცესში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ერთ-ერთ ძირითად ბარიერს სწორედ ტექნოლოგიების არ ქონა წარმოადგენდა/წარმოადგენს ამჯერადაც.

საქართველოში ლაბორატორიები არის, თუმცა, მათი მომსახურება სხვა დაწესებულებისთვის ფასიანია და შესაბამისად, ეს საკმაოდ დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული.

დასკვნა

საბოლოო ჯამში უნდა აღინიშნოს, რომ გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის მონიტორინგსა და ანგარიშგებასთან დაკავშირებულ საკითხებში, იკვეთება შემდეგი:

- კონვენციის შესრულებაში ჩართულია არაერთი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაცია და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულება;
- ზემოთაღნიშნული დაწესებულებების მიერ შესრულებული სამუშაობი გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციასთან დაკავშირებით) არ ფარავს მთელი საქართველოს ტერიტორიას და მხოლოდ ზოგიერთი რეგიონით შემოიფარგლება;
- ეროვნული მოხსენებების მომზადება ხდება სამინისტროს კოორდინაციით, რომლის შესრულების პროცესშიც ხდება არასამთავრობო ორგანიზაციების თუ დამოუკიდებელი ექსპერტების დაქირავება;
- მიწის რესურსების დაცვისა და წიაღის სამსახურის ადამიანური რესურსები არ არის საკმარისი სამსახურისათვის დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად;
- გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის შესრულებაში არასამთავრობო ორგანიზაციები და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ;
- სხვადასხვა დაწესებულებებს შორის თანამშრომლობისა და ინფორმაციის მიმოცვლის ნაკლებობა (ხშირ შემთხვევაში არ არსებობა) ხელს უშლის აღნიშნული დაწესებულებების ეფექტურ საქმიანობას კონვენციის შესრულების პროცესში;
- საზოგადოების უმეტეს ნაწილს, რეალურად, არ აქვს ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობა (მხოლოდ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, რომელიც ასევე არ არის სრულყოფილი, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ეფექტურ საშუალებას არ იძლევა).

დანართი 1. სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ განხორციელებული პროექტების არასრული ჩამონათვალი

მიმდინარე პროექტები:

- ნიადაგების ატლასის შედგენა - შემსრულებელი: აგრარული უნივერსიტეტის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტი;
- კახეთის წყლის რესურსების მონაცემთა ბაზების შექმნა/განახლება - შემსრულებელი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი;
- გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის ატმოფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიის უფროსი, ამჟამად ახორციელებს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტს „კახეთის რეგიონის ხელოვნური წყალსაცავების და მათი მიმდებარე ტერიტორიების დაბინძურების შესწავლის“ შესახებ. პროექტი უნდა განხორციელდეს კახეთის რეგიონში, კერძოდ ალაზნის ველზე. კვლევის მიზანს ალაზნის ველზე ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლა, დამლაშებული ნიადაგების ხარისხისა და ნაყოფიერების განსაზღვრა წარმოადგენს. პროექტის ხანგრძლივობა ორი წელია და 2018 წელს დასრულდება.

დასრულებული პროექტები:

- წლების განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო სამუშაოების მონაცემთა ბაზების შექმნა - შემსრულებელი: აგრარული უნივერსიტეტის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტი;
- კახეთის მხარეში მიმდინარე ეგზოდინამიკური პროცესები და რელიეფის ანთროპოგენური ტრანსფორმაცია - შემსრულებელი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი;
- სამხრეთ საქართველოს მთიანეთის გეომორფოლოგიური დახასიათება და გეოდინამიკური პროცესების რისკი და შეფასება - შემსრულებელი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი;
- კახეთის რეგიონის ლანდშაფტების გამოვლენა, მათი საზღვრების დადგენა და კლასიფიკაცია - შემსრულებელი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი;
- გარდაბნის რაიონის ბიცობიანი ნიადაგის ქიმიური შედგენილობის ცვალებადობა ქიმიური მელიორაციის გამოყენების შემდეგ - შემსრულებელი: ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი (პროექტის განხორციელების ვადები 2006 წ.);
- ქვემო ქართლის ნიადაგებსა და მცენარეულ საფარში მძიმე ლითონების აკუმულაციისა და მიგრაციის კანონზომიერების შესწავლა - შემსრულებელი: ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი (პროექტის განხორციელების ვადები 2008 წ.);
- აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივი გარემოს კომპონენტების (ნიადაგი, წყალი, ჰაერი) ნავთობპროდუქტებით დაბინძურების დონის დადგენა და მათი მინიმიზაციის პროექტის

შემუშავება - შემსრულებელი: ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი (პროექტის განხორციელების ვადები 2009 წ.);

- თბილისის სამხრეთით - ბოლნისის რაიონში მძიმე მეტალებით გაჭუჭყიანებული სარწყავი ნიადაგების გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავება - შემსრულებელი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (პროექტის განხორციელების ვადები 2009-2012 წწ.);
- კახეთის მხარის თანამედროვე გეოეკოლოგიური მდგომარეობა და მისი გაჯანსაღების გზები - შემსრულებელი: ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი (პროექტის განხორციელების ვადები 2009-2012 წწ.);
- საქართველოს ტერიტორიის კომპლექსური დარაიონება გვალვების მიხედვით და ვაზის მორწყვის საჭიროების სტოქასტური პროგნოზი - შემსრულებელი: ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი (პროექტის განხორციელების ვადები 2008-2009 წწ.);
- შიდა ქართლის (ცხინვალის რეგიონის) კლიმატური და აგროკლიმატური რესურსების შეფასება კლიმატის მოსალოდნელი დათბობის პირობებში - შემსრულებელი: ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი (პროექტის განხორციელების ვადები 2008-2010 წწ.);
- საქართველოს კლიმატური და აგროკლიმატური ატლასი - შემსრულებელი: ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი (პროექტის განხორციელების ვადები 2011 წ.);
- კლიმატის თანამედროვე ცვლილების ფონზე ალაზნის ველის დამლაშებული ნიადაგების დეგრადაციის შემარბილებელი ქმედებების შემუშავება - შემსრულებელი: ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი (პროექტის განხორციელების ვადები 2011-2012 წწ.);
- საქართველოს ნიადაგების ეროზიისაგან დაცვის კონცეფცია (პროექტის განხორციელების ვადები: 2012–2020 წწ). - შემრულებელი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
- გვალვებისა და გადაბნოების ხელშემწყობი ტემპერატურისა და ნალექების რეჟიმული სტრუქტურა და მასზე ჰავის ცვლილების გავლენა (პროექტის განხორციელების ვადები: 2010 წ.) - შემსრულებელი: გეოგრაფიის ინსტიტუტი;
- მიწის რესურსების დეგრადაცია კლიმატის თანამედროვე ცვლილებების გათვალისწინებით (პროექტის განხორციელების ვადები: 2012 წ.); შემსრულებელი: ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი;

დანართი 2. არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული (მიმდინარე და დასრულებული) პროექტების არასრული ჩამონათვალი

- საქართველოს არიდული და ნახევრადარიდული ეკოსისტემების კონსერვაციის მენეჯმენტის გეგმა - შემსრულებელი: სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი "ნაკრესი"; პროექტის მიზანი იყო საფრთხის წინაშე მყოფი არიდული და სემიარიდული ეკოსისტემების დაცვა ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის უზრუნველყოფის გზით;
- ტრენინგი გარემოსდაცვით/საძიებო ჟურნალისტიკაში გარემოსა და უსაფრთხოების თემატური კვლევებისათვის (2005 წ.) - შემსრულებელი: CENN კავკასიის გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი;
- საქართველოში ვადაგასული პესტიციდების რისკების ლიკვიდაცია (2006 წ.) - შემსრულებელი: CENN კავკასიის გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი;
- საზოგადოებრივი გარემოსდაცვითი საინფორმაციო ცენტრი გარდაბანში - სასკოლო კლასების გარემოსდაცვითი პრობლემების შესახებ (2007 წ.) - შემსრულებელი: CENN კავკასიის გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი;
- საქართველოში ბუნებრივი კატასტროფების შედეგების შემცირებისა და სიღარიბის დაძლევისთვის ადგილობრივი პოტენციალის გაძლიერება და თანამშრომლობის განვითარება (2009 წ.) - შემსრულებელი: CENN კავკასიის გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი;
- დეგრადირებული ლანდშაფტების კლიმატის მიმართ მდგრადი რეაბილიტაცია (2008-2011 წწ) - შემსრულებელი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია (GIZ);
- ადგილობრივი შესაძლებლობების გაზრდა და რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში (2011-2014 წ.წ.) - შემსრულებელი: Mercy Corps Georgia, კავკასიის გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი (CENN);
- სამხრეთ კავკასიაში ნიადაგების მდგრადი მართვა ნიადაგის დეგრადაციის შერბილებისა და სიღარიბის შემცირებისთვის (2009-2012 წ.წ.) - შემსრულებელი: CENN კავკასიის გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი, REC CAUCASUS-თან ერთად;
- საქართველოს ტერიტორიისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი სტიქიური მოვლენების საფრთხეებისა და რისკების ატლასი (2012 წ.) - შემსრულებელი: CENN კავკასიის გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი;
- სამხრეთ კავკასიის არიდულ და ნახევრად არიდულ ეკოსისტემებში აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგრადი გამოყენებისთვის კლიმატის ცვლილების შედეგების ადაპტაციისთვის ღონისძიებების განსაზღვრა და რეალიზაცია (2011 -2013 წ.წ.) - შემსრულებელი: კავკასიის რეგიონული ეკოლოგიური ცენტრი (REC);
- ეროზიის ინტეგრირებული კონტროლის ღონისძიებები სამხრეთ კავკასიაში (2014-2016 წ.წ.) - შემსრულებელი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ);
- მიწის მმართველობის გაუმჯობესება საქართველოში მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშესაწყობად (2014-2016 წ.წ.) - შემსრულებელი: მწვანე ალტერნატივა;

- სასოფლო ტერიტორიებზე ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა მიწის დეგრადაციისა და სიღარიბის შემცირების მიზნით (2015-2018 წ.წ.) - შემსრულებელი: კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (RECC);
- გაეროს გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის ეროვნულ მოქმედებათა პროგრამის კონვენციის სტრატეგიასთან და ეროვნული მოხსენების კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა (2012-2014 წ.წ.) - შემსრულებელი: კავკასიის რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი(RECC);
- „საძოვრების მდგრადი მართვა ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე“ (2014-2015) - შემსრულებელი: სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი "ნაკრესი";
- “ვაშლოვანის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონის საძოვრების მდგომარეობის შეფასება და მენეჯმენტის გეგმის მომზადება“, დაფინანსებული იქნა პროექტი „საძოვრების მდგრადი მართვა საქართველოში კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის სარგებლის და დივიდენდების დემონსტრირების მიზნით“ (2014-2016) - შემსრულებელი: სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი "ნაკრესი";
- “თუშეთის ეროვნული პარკისა და თუშეთის დაცული ლანდშაფტის საძოვრების მდგომარეობის შეფასება” დაფინანსებული იქნა პროექტი „ეროზიების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიის მთიანი რეგიონებში“ ფარგლებში (2014-2016) - შემსრულებელი: სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი "ნაკრესი";
- აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებულ პროგრამას "საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზეგავლენის შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია (ICCAMGR)" - ახორციელებს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (NALAG). პროექტის მიზანია: კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია და ზეგავლენის შერბილება, ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის ინსტიტუციური და ორგანიზაციული შესაძლებლობების შექმნის გზით, კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზეგავლენის შერბილების ზომების პოპულარიზაცია ადგილობრივ დონეზე და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ადგილობრივი პრობლემების ინტეგრირება შესაბამის ეროვნულ პოლიტიკაში, კლიმატის ცვლილების საკითხებზე ადგილობრივი თვითმმართველობების როლის გაზრდა ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე დისკუსიებსა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ადგილობრივ დონეზე არსებული კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზეგავლენის შერბილებასთან დაკავშირებული ინიციატივების/ზომების მდგრადობის უზრუნველყოფა.